

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტების (SWOT) ანალიზი

ნოდარ წივცივაძე, ლამზირა ლაღიძე, ნარგიზი მოწონელიძე, გიორგი ივანოვი, ნინო პაიჭაძე

ელ-ფოსტა: nodar.tsivtsivadze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

ნავსადგურები განსაკუთრებულად დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის სატრანსპორტო დამოუკიდებლობისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საკითხებში, ასევე ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ამაღლებაში, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში და ა.შ. ანაკლიის პორტის მშენებლობით მოხდება ქვეყნისთვის შესაძლო რისკებისა და ტვირთების გადანაწილების დივერსიფიკაცია, დასაქმების ხელშეწყობა, ბიუჯეტის შევსება და ქალაქარმომქნელი ფუნქციის განხორციელება. მისი სახით დამატებითი სატრანსპორტო ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობა აუცილებელ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს მომავალი მზარდი ტვირთნაკადების ფონზე, რომელიც შეიძლება უახლოეს მომავალში ჩინეთიდან და ინდოეთიდან წამოვიდეს ევროპისკენ და პირიქით. ეს მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი მეზობელი “ჩაკეტილი” ქვეყნებისთვისაც.

2010 წელს ექსპერტიზისათვის ჩვენთვის გადმოცემული შპს „ინჟინერმშენის“ - თ. ქარჩავა - ს. ერაგიას, საპროექტო წინადადებების სრული პაკეტი, ხმელეთშიდა, უაზის ტიპის, 18 მ. სიღრმის მულტიფუნქციონალური საზღვაო ნავსადგურის მშენებლობის შესახებ, მდ. ენგურის შესართავის სამხრეთ ნაწილში სოფ-ბს ანაკლიასა და ხორგას შორის, წარმოადგენს ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს პროექტს, რომლის მშენებლობის ხანგრძლივობა 15 წელს არ აღემატებოდა.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ (ხაზარაძე-კონტის ჯგუფი) მიერ პორტის მშენებლობის (მშენებლობის ხანგრძლივობით 50 წ.) დაგეგმილი ადგილმდებარეობა (უკეთესი ზემოხსენებულის არსებობის შემთხვევაში) სრულად სპობს ანაკლიაში რეკრეაციული პოტენციალის განვითარების პერსპექტივას და ქმნის როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებს (ექსპროპრიაციით დაშინებული 100 მეტი ოჯახის აყრა მამაპაპისეული კარმიდამოდან და ბიუჯეტიდან კომპენსაციების გაცემა; უფულობის პირობებში, უნიკალური სანაპიროს თითქმის 4 კმ-ნი მონაკვეთის გაუაზრებლად და დაუგეგმავად აოხრება; გარემოს დაბინძურება სხვადასხვა წყაროთი, მოსახლეობის ჯანმრთელობის შერყევა), რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.